## თამარ ორჯონიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი

# საქართველო XX საუკუნის მსოფლიო ისტორიის უცხოურ სახელმძღვანელოებში

ნაშრომში განხილულია მეოცე საუკუნის ისტორიის ორ უცხოურ სახელმძღვანელოში არსებული მასალა საქართველოს შესახებ - უილიამ ქილორის „მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან“ და ასევე 2015 წელს ბრიტანეთში გამოქვეყნებული სახელმძღვანელო “მეოცე საუკუნის საერთაშორისო ისტორია“. ქილორი მოკლედ აღწერს საქართველოში განვითარებულ სხვადასხვა მოვლენას, მაშინ როდესაც მეორე სახელმძღვანელოში თითქმის არაფერია ნათქვამი ჩვენი ქვეყნის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო; მეოცე საუკუნე; ისტორიის სახელმძღვანელოები.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ახსნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა ისტორიის ცოდნაა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XX საუკუნე. გასულ საუკუნეში მომხდარი პოლიტიკური მოვლენები უდიდეს ზეგავლენას ახდენს თანამედროვე პოლიტიკაზე და მათი გაანალიზების გარეშე შეუძლებელია რეალობის სწორი აღქმა და სამომავლოდ პერსპექტივების პროგნოზირება.

თსუ-ის პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაში შედის სალექციო კურსი „მსოფლიო XX საუკუნეში“. ამ კურსის შესწავლის დროს ძირითადი სახელმძღვანელოა უილიამ ქილორის წიგნი „მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900

წლიდან“[1], რომლის ქართული თარგმანი თსუ-მ გამოსცა 2015 წელს[2].

მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორიის ყველა დეტალის, ყველა ცნობილი ფაქტის სრულყოფილად აღწერა შეუძლებელია. ვერცერთი კურსი ვერ უზრუნველყოფს ერთ ნაშრომში მოაქციოს მთლიანი მასალა დაძაბული და უაღრესად საინტერესო საუკუნეში განვითარებული მოვლენების შესახებ. უდიდესი შრომის მიუხედავად, რომელსაც ავტორი ან ავტორთა ჯგუფი გასწევს, მათ მაინც მოუწევთ გარკვეული ფაქტებისათვის უფრო დიდი ყურადღების დათმობა, ხოლო ზოგი მასალის საერთოდ გამოტოვება. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული ავტორთა არჩევანი - რა მიიჩნიონ უფრო მნიშვნელოვნად და შესაბამისად რა საკითხზე გაამახვილებინონ მკითხველს ყურადღება. ყოველი ახალი მცდელობა - სრულად დაიწეროს მეოცე საუკუნის მსოფლიო ისტორია - გამოიწვევს გარკვეული ფაქტების მეორეხარისხოვნად მიჩნევას. შესაბამისად, სწორედ ავტორებსა და მათ შეხედულებებზეა დამოკიდებული სახელმძღვანელოებში პრიორიტეტული მოვლენების განსაზღვრა და მათ მიმართ დათმობილი ყურადღება. ასეთ დროს პირველ რიგში ზარალდებიან „პატარა ქვეყნები“. არადა ასეთ ქვეყნებში ისტორიის სწავლების დროს მნიშვნელოვანია სტუდენტებმა გაიაზრონ, თუ როგორ იყო ჩართული მათი ქვეყანა მსოფლიო ისტორიულ პროცესში.

საქართველოსთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ-ში გამოცემულ წიგნში, რომელიც მოიზრება XX საუკუნის ისტორიის მოკლე კურსად და ამ სახელმწიფოს თვალით უყურებს მსოფლიო პროცესებს, ჩვენს ქვეყანას გარკვეული ადგილი აქვს

---

[1] Keylor, W. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond*. OXFORD UNIVERSITY PRESS

[2] ქილორი, უ. (2015). *მეოცე საუკუნის მსოფლიო.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

დათმობილი და ზოგიერთი არაზუსტი და საკამათო აზრია გამოთქმული მასთან დაკავშირებით.

წიგნში საქართველო პირველად მოხსენიებულია პირველი მსოფლიო ომის დროს. ავტორის თქმით, რუსეთმა გერმანიასთან შეთანხმების პირობებით დათმო საქართველო სხვა ქვეყნებთან ერთად. ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პროცესში გერმანიის მხრიდან ეკონომიკური და სამხედრო დახმარების იმედი ჰქონდათ და მიმართეს კიდეც მას თხოვნით. გერმანია კი იმედოვნებდა, ამ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარების შემდგომ მარტივად მოახერხებდა რუსული ძალის გაყვანას ევროპიდან და არარუსულ ტერიტორიებზე ეკონომიკურ სიძლიერესაც მოიპოვებდა. მოკლედ, ავტორი საქართველოს და რუსეთისაგან ჩამოშორებულ სხვა ქვეყნებს განიხილავს, როგორც საშუალებას გერმანიისათვის - მანამდე რუსეთის იმპერიის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია და რესურსები საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია. აღსანიშნავია, რომ წიგნში არაფერია ნათქვამი „გერმანიის გავლენის ქვეშ“ მოხსენიებული საქართველოსა და სხვა ქვეყნების პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ბედზე (გვ. 88-89).

1920-იან წლებში ბოლშევიკურ პარტიაში მიმდინარე შიდა ბრძოლების აღწერისას ქილორი საუბრობს ლენინის მემკვიდრეებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე და ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს გამარჯვებულის წარმომავლობაზე - „ეთნიკურად ქართველმა იოსებ ჯუღაშვილმა, რომელმაც „სტალინი“ მოგვიანებით დაირქვა (რუსული სიტყვიდან, რომელიც ფოლადს ნიშნავს), მოხერხებული ეშმაკობით აჯობა ტროცკის, ისარგებლა საკუთარი ძალაუფლებით და ირგვლივ შემოიკრიბა უმაღლეს ხელისუფლებაში მისი მოსვლის მომხრეები“ (გვ. 169).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა და ამერიკული ურთიერთობების  განხილვისას ქილორი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნაზე თურქეთის მიმართ-დაებრუნებინა პირველ მსოფლიო ომამადე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიები, რომლებიც ომის შემდგომი შეთანხმე-

ბით თურქეთს გადაეცა - „1945 წლის 7 ივნისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა მოსკოვში თურქეთის ელჩს გარკვეული მოთხოვნები წარუდგინა, რომლებმაც მალე კიდევ უფრო დეტალური სახე მიიღეს. მოთხოვნებს შორის იყო: 1878 წელს კავკასიაში რუსეთის მიერ ანექსირებული და, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთის მიერ უკან დაბრუნებული ტერიტორიების დათმობა; თურქეთის სრუტეებთან დაკავშირებული, 1936 წლის მონტრეს კონვენციის გადახედვა, ამ სრუტეებზე რუსულ-თურქული ერთობლივი იურისდიქციის დამყარების მიზნით; თურქეთის სანაპიროებზე საბჭოთა კავშირისთვის ბაზების მიქირავება ამ სრუტეების დაცვის უზრუნველსაყოფად“ (გვ. 375).

აღნიშნული მონაკვეთი ჩვენთვის საინტერესო იმ მხრივაა, რომ საუბარია სომხეთისა და საქართველოს  მიწებზე, რომლებიც ათწლეულებით ადრე დაკარგეს ამ ქვეყნებმა. საბჭოთა დაჟინებულმა მოთხოვნამ თურქეთისადმი ბრიტანეთისა და აშშ-ის შეშფოთება გამოიწვია და მათ მხარი თურქეთს დაუჭირეს საბჭოთა კავშირის გავლენის გაძლიერებისაგან თავის ასარიდებლად - „თურქეთის სრუტეებზე რუსეთის კონტროლი მის მიერ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სრული დომინაციის ტოლფასი იყო. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავდა ევროპისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს საზღვაო მარშრუტზე კონტროლს და გამარტივებულ გზას ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ძვირფასი მინერალური რესურსებისაკენ“ (გვ. 376). სხვადასხვა მიზეზთა გამო საბჭოთა კავშირმა უკან დაიხია და სტალინის სიკვდილის შემდგომ, მისმა მემკვიდრეებმა საერთოდაც უარყვეს თურქეთთან მანამდე გამოთქმული პრეტენზიები.

ავტორის შეფასებით, თურქეთთან დაწყებული დავა (მათ შორის საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებითაც) მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობების გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

საქართველო კვლავ ნახსენებია წიგნში უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების აღწე-

რისას. გორბაჩოვისა და მისი გარემოცვის ურთიერთდამოკიდებულების გადმოცემისას ქილორი მნიშვნელოვან აქტორად წარმოადგენს ედუარდ შევარდნაძეს და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს საინტერესოდ აფასებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქილორი შევარდნაძეს განიხილავს გორბაჩოვის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად: „1991 წლის დასაწყისში საბჭოთა ჯარები ბალტიის სახელმწიფოებში შევიდნენ. ერთი წლით ადრე საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად ქცეული გორბაჩოვი კი თანდათან რეფორმებისადმი მტრულად განწყობილი ძალებისაკენ (არმია, კაგებე და კომუნისტური პარტია) იხრებოდა. ეს ძალები კი იმ წესრიგის ხერხემალს წარმოადგენდნენ, რომლის შეცვლასაც გორბაჩოვი მანამდე ცდილობდა. 1990 წელს ლიბერალი საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, რეფორმების მხარდამჭერები იმედს გორბაჩოვზე გულაცრუებულ კიდევ ერთ თანამებრძოლზე - ბორის ელცინზე - ამყარებდნენ“ (გვ. 657). ამავე პერიოდზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს საქართველომ და სხვა ქვეყნებმა და იქვე ახსენებს ამავე ქვეყნებში მომატებულ სეპარატისტულ განწყობებს (გვ. 657-658). ქილორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოსა და მის პრობლემეზე სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან. „საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სეპარატისტული გამოწვევების წინაშე დადგა, რომელთაც რუსეთის ფედერაციაში მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ თანამოძმეებთან გაერთიანება სურდათ. 1993 წლის შემოდგომაზე, საქართველოს სახელმწიფოს ახალი მეთაური, გორბაჩოვის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, ეკონომიკური ქაოსისა და პოლიტიკური არეულობების შედეგად ქვეყანაში წესრიგის აღდგენის მიზნით, რუსეთის სამხედრო დახმარება ეთხოვა“ (გვ. 661). აღსანიშნავია, რომ „რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ჩრდილოელ თანამოძმეებთან გაერთიანება“ სურდათ ოსებს და არა აფხაზებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი სირთულეების აღწერისას ქილორი ყოფილ მოკავშირე ქვეყნებს, მათ შორის საქართვე-

ლოს მძიმე მდგომარეობას გადმოგვცემს და წერს, რომ ამ სახელმწიფოებს პრობლემებთან გამკლავება „მარტო არ შეეძლოთ“, ეს კი საკმარისი საფუძველი იყო იმისათვის, რომ რუსეთის გავლენა შემცირებული, თუმცა მაინც გარკვეული დოზით გავრცელებულიყო ამ ქვეყნებზე. „ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში ამ ქვეყნების მთავრობების თანხმობით განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზები და სამხედრო ბაზების განლაგებასთან დაკავშირებით სომხეთთან გაფორმებული შეთანხმება, რუსეთის ფარგლებს გარეთ მოსკოვის გავლენის შენარჩუნების ნათელ მაგალითად რჩებოდა“ (გვ.668).

უფრო ვრცლად სახელმძღვანელოში საქართველოზე საუბარი უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისის რუსეთისა და მისი მეზობლების განხილვის დროსაა. ქილორის თქმით, „უკრაინისა და საქართველოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათი მეტად პრო-დასავლური და ანტირუსული პოლიტიკის გამო, კრემლის განსაკუთრებული შეშფოთების მიზეზად იქცნენ“ (გვ. 670). ამ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების განხილვისას ვკითხულობთ, რომ „2003 წელს საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლების სათავეში მკვეთრად ანტირუსული მთავრობა მოვიდა, რომელმაც ღიად გამოხატა ნატოში გაწევრიანების სურვილი და მოითხოვა ქვეყნიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანა, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში წესრიგის დასაცავად იყვნენ განლაგებული“. კვლავ უზუსტობა: სამხედრო ბაზების გატანასთან და არა სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები სააკაშვილის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამდე მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით საკამათოა ავტორისეული ხედვა 2008 წლის მოვლენების აღწერისას. წიგნში ვკითხულობთ: „საქართველოს ამ ორი ანკლავის (სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის) მოქალაქეებმა რუსეთისგან მოქალაქეობის შეთავაზება და ფართო ეკონომიკური დახმარება მიიღეს. ორივე რეგიონი ღიად უპირისპირდებოდა სა-

ქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დედაქალაქ თბილისში. 2008 წლის გაზაფხულზე დასავლეთის მიერ რუსეთის პროტეჟე სერბიისგან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე პასუხად, მოსკოვმა საქართველოს ორი ანკლავის დამოუკიდებლობა აღიარა და გამოაცხადა მათი, როგორც რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, დე ფაქტო ანექსია. იმავე წლის ზაფხულში ანტირუსულად განწყობილმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო იერიში წამოიწყო, რასაც ხუთდღიანი ომი მოჰყვა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელმაც სეპარატისტული რეგიონების დასაცავად ჯარები გაგზავნა“ (გვ. 671). აშკარაა, რომ ავტორი ომის დაწყების პასუხისმგებლობას ქართულ მხარეს აკისრებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მცდარია ქილორის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ ომამადე აღიარა - რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მედვედევმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობის ბრძანებას ხელი 2008 წლის 26 აგვისტოს მოაწერა - ომის შემდგომ.

აღსანიშნავია ქილორის შეფასება 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოსადმი მიმართული აგრესიის მიზეზების აღწერისას. როგორც უკვე აღინიშნა, ავტორი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას განიხილავს, მეორე მიზეზად კი ქილორი ასახელებს საქართველოს სწრაფვას ნატო-ში გაწევრიანებისაკენ. „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა პირველად გამოიყენა სამხედრო ძალა საკუთარი საზღვრების მიღმა, რითაც პირდაპირ მიანიშნა, რომ მზად იყო ძალის გამოყენებით აღდგომოდა წინ მეზობელი სახელმწიფოების მიერთებას სამხედრო ორგანიზაციასთან, რომელსაც ის კვლავ ქვეყნის დასავლეთის საზღვრებთან მდებარე ანტირუსულ ალიანსად განიხილავდა“ (გვ.671).

სახელმძღვანელოში ასევე შეფასებულია დასავლეთის რეაქცია რუსეთის იმდროინდელი ხელისუფლებისადმი საქართველოსადმი გამოვლენილი აგრესიის წინააღმდეგ: „პრეზიდენტ პუტინის

ამ გაბედულ ნაბიჯებს დასავლეთში ისეთივე მნიშვნელოვანი კრიტიკა მოჰყვა, როგორც მანამდე მის მიერ რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წინააღმდეგ სასტიკი ზომების გამოყენებასა და ოთხმოცდაათიან წლებში ელცინის პრეზიდენტობისას ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი დემოკრატიისადმი მის უპატივცემულო დამოკიდებულებას“ (გვ.671).

საყურადღებოა, რომ ქილორი რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ საქართველოს ასახელებს: „კოსოვოს სტატუსისა და უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წაქეზების გამო უთანხმოებების გარდა, არსებობდა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვნად ამწვავებდა რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს. კერძოდ, უთანხმოების კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენდა ბუშის ადმინისტრაციის გეგმა, რომელიც ბალისტიკური რაკეტებისგან გლობალური თავდაცვის სისტემის კომპონენტების პოლონეთსა და ჩეხეთში განლაგებას ითვალისწინებდა. ურჩი სახელმწიფოების, მაგალითად ირანის, სავარაუდო სარაკეტო თავდასხმისგან თავდცვის საბაბის მიუხედავად, კრემლმა, რუსეთის ბირთვული შემაკავებელი სისტემისათვის საფრთხის შექმნის გამო, პოლონეთში გამანადგურებელი რაკეტების და ჩეხეთში სარადარო სადგურის განთავსება დაგმო. ამ პოლიტიკური უთანხმოებების გამო, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაიწია“ (გვ.672).

ქილორის ნაშრომთან ერთად, შედარებისთვის, უნდა აღვნიშნოთ 2015 წელს ბრიტანული გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული წიგნი “მეოცე საუკუნის საერთაშორისო ისტორია“ (INTERNATIONAL HISTORY OF THE TWENTIETH CENTURY AND BEYOND). 4 ევროპელი ავტორის მიერ სტუდენტებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო შეგვიძლია ქილორის ამერიკული ხედვის ევროპულ ალტერნატივად მივიჩნიოთ. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებსა და იმ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ძალებზე, რომლებიც გავლე-

ნას ახდენდნენ მსოფლიო პოლიტიკაზე XX საუკუნეში, თუმცა თხრობა ჩვენს დრომდე - 2014 წლამდე მოჰყავთ.

საქართველო (Georgia) წიგნში ერთადერთხელაა ნახსენები. ცივი ომის დასრულებისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ აღწერისას ავტორები ერთ წინადადებაში ახსენებენ ჩვენს ქვეყანას. „აღმოსავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენებით გათამამებულმა ბალტიის ქვეყნებმაც დაიწყეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. მსგავსი მოძრაობები ძლიერდებოდა სტალინის სამშობლოში - საქართველოშიც (Stalin’s home state of Georgia), კიდევ ორ საბჭოთა რესპუბლიკაში - სომხეთსა და აზერბაიჯანში კი ძალადობრივი კონფლიქტი დაიწყო მთიან ყარაბაღზე კონტროლის მოსაპოვებლად“ (გვ. 540).

კონკრეტულად საქართველო არა, თუმცა კავკასიაა ნახსენები ბრესტის მოლაპარაკებების აღწერისას. წიგნის მიხედვით, „ბოლშევიკებმა დათმეს პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, უკრაინა, ფინეთი და კავკასია, ნომინალურად „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები, ფაქტობრივად კი გერმანიის სატელიტები (German satellites)” (გვ. 38).

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ქილორის მსგავსად, ევროპელი ავტორებიც საქართველოს პირველი მსოფლიო ომის პერიოდისათვის გერმანიის სატელიტ სახელმწიფოდ განიხილავენ.

თითქმის ყველა სახელმძღვანელო განსხვავებულად, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გადმოსცემს ფაქტებს, მათ პირველ და მეორეხარისხოვან მოვლენებად ახარისხებს და შესაბამის ყურადღებასაც უთმობს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასურველია საქართველოში გამოქვეყნდეს ნაშრომები, სადაც არამხოლოდ ძლიერ სახელმწიფოთა ერთმანეთთან ურთიერთობები იქნება უმთავრესად განხილული, არამედ მათგან გამომდინარე - საქართველო, მისი პრობლემები და განვითარების გზები იქნება გაანალიზებული. ასეთ შემთხვევაში ქართველი სტუდენტები შეძლებენ მოვლენებს შეხედონ „ქართული, მცირე ქვეყნის თვალით“, ადეკვატუ-

რად გააანალიზონ და საკუთარი შეფასება მისცენ მსოფლიოს განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

ქილორი, უ. (2011). *მეოცე საუკუნის მსოფლიო საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან.* Oxford University Press. (წიგნი ქართულად გამოიცა 2015 წელს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში (მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები).* თბილისი.

BEST, A. HANHIMAKI, J. MAIOLO, J. & SCHULZE, K. (2015). *INTERNATIONAL HISTORY OF THE TWENTIETH CENTURY AND BEYOND. Routledge. LONDON AND NEW YORK.*

პოლიტიკა, 2017. #2. *ახალი წიგნები*

**Tamar Orjonikidze**

## Georgia in Foreign Text-books of XX Century World History

**Resume**

The article represents facts about Georgia discussed in 2 foreign text-books of XX century world history – Keylor, W. - “The Twentieth-Century World and Beyond, An International History Since 1900” for students published by Oxford University Press and also Best, A and etc. - “International History of the Twentieth Century and Beyond” published in 2015 in Britain. Keylor shortly describes different process happened in Georgia, whereas the authors of the second manual nearly don’t say anything about our country.

**Keywords:** Georgia; Twentieth century; History text-books.